

026

92 638.1



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემულია

მეც. N 490 № 5.

ფუტკრის


გონიერი მოვლამოქმედება.

არჩილ დარეჯანაშვილის-მხარ.

K26.373
3

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..“
ი. ჭავჭავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროსი
ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს!..“
კონფუცი.



ბზილისი

სტამბა ეჭეთაძე ივ. სელაძისა

1896



ვუცხილ დეკა



Дозволено цензурою, Тифлисъ 13 января 1896 юда.

სპეც-2000
ქართული ენციკლოპედია

ზესაკალი.

უწინდელ დროში, დიდი და ზატარა, ღარიბი და მდიდარი, უკუ-
ლანი მისდევდნენ ფუტკრის მოშენებას; მაშინდელი ხალხის სული
და გული თანულთ უფთელს განოეიერებულნი. დღეს-კი მთელს სა-
ქართველოში ორი-სამი პირიც არ მოიპოვება, რომ ეს საქმე სეი-
რიანად ჭქონდეს მოწუბილი, თუმცა ძნელად იქნება სხვა საქმე,
რომელიც ისეთი სასარგებლო და სიმდიდრის მომცემი იყოს, რო-
გორც მეფუტკრობაა. გამომანგარიშებულა, რომ უოკელ მანათს,
ფუტკარზე დახარჯულს (სკების გაკეთებაზე და სხვაზე), შეუძლიან
მისცეს თავის ზატრონს ხუთი მანეთი და ას მანეთს—ხუთასი და
არც თვითონ საქმეა ძნელი. მადლობა დმურთს უკელანი ვხედავთ,
რომ ჭკვეანა და ცხოვრება გამოიწყალა, რომ სანაა მეორე საუგუნე
კარს დაგვიკავუნებს და, ამიტომ, ჩვენც უჭკველად დროს შესაფერი
შრომა და გარჯვა, ნიჭი და ცოდნა უნდა გამოვიჩინოთ; გვეყოფა
ამდენი ძილი, ახლა დრო არის გამოდგომებისა, დრო არის სელი
მოკვიდლოთ, როგორც ამ კეთილ საქმეს, ისე სხვა მრავალსაც. გვას-
სოკედეს, რომ ერთად მხოლოდ ის მომქმედი ხალხი ითვლება, რო-
მელიც მოახერხებს და შეჭმნის გონიერს წეს-რიგს გერძო და სა-
ზოგადო ცხოვრებაში, რომელიც შეიტანს უწყებულს სამართლიანო-
ბას საზოგადოებაში, რომელიც ააყვავებს მრეწველობას, მეურნეო-
ბას, ხელოვნებას, მწიგნობრობას და მისთანებს...

I. ფუტკრის მოშენების საზოგადო პი- რობები.

ფუტკრის მოშენებაში მეურნემ უნდა იქონიოს სახეში: 1) საფუტკრე უნდა გაკეთდეს ქარისაგან დაფარულ ადგილას; 2) ჩრდილიან ადგილას და, თუ ტყე არის, მის ახლოს; 3) შენობებს ახლო არ უნდა მოაწყოთ საფუტკრე, რადგანაც შენობებში ადვილად ბუდობს თავი, რომელიც მტერია ფუტკრისა და მის თაფლისა; 4) საფუტკრე შემოღობილი უნდა იყვეს, რომ შიგ საქონელი და ხალხი წარამარად არ დაიარებოდეს; 5) საფუტკრე ისე სუფთად უნდა შეინახოთ, როგორც საცხოვრებელი ოთახი, რადგანაც ფუტკარს მეტად უყვარს სისუფთავე; 6) დიდი ბალახი საფუტკრეში მავნებელია, ერთი იმიტომ, რომ მასში მიწდერიდგან მოსული ფუტკარი ჩაფარდეს, ვეღარ ამოდის, ბევრს წვალობს და ბოლოს იქვე კვდება; მეორე: დიდ ბალახში ადვილად ჩნდება თავი და ჭია-ჭუა, რომელიც აენებს ფუტკარს; ამისთვის, საფუტკრეში მალ-მალე უნდა გაითიბოს ბალახი და თითონ სკების გარეშემო-კი ღრო გამოშვებით კიდევაც გაითიბნოს; 7) საფუტკრეში სკები უნდა დაიდგას რიგზედ, ასე რომ ერთი სკა მეორეს შორავდეს ერთი საყენითა (სამი არშინითა); 8) ფუტკრის გამოსასვლელ-შესასვლელი კარები (ხერელები) უნდა უყურებდეს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ; 9) როგორც დაწვენილი (ჩვენებური), ისე დასადგმელი სკები არ უნდა დადგათ პირ-და-პირ მიწაზედ: სკის ძირი უნდა შორავდეს მიწას $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$ არშინით, რომ სინესტემ არ აენოს ფუტკარს; 10) რა წამსაც სკას რამე ნახვრეტი ანუ ნახეთქი შეამჩნიოთ, უნდა ის ადგილი ტალახით გამოლესოთ; ტალახი ასე უნდა მოამზადოთ: აიღეთ

ორი ნაწილი საქონლის ახალი ფენი, ერთი ნაწილი თიხა, ნახევარი ნაწილი გაცრილი ნაცარი, ერთმანეთში კარგად აურიეთ და იხმარეთ; 11) სასკე ხის მასალა შეიძლება იყოს ფიჭვისა, ცაცხვისა, მურყნისა და სისქით ერთ ვერშოკამდის, ამაზედ თხელი-კი აღარ ივარგებს; 12) ფუტკართან მისვლა ანუ სკის ახდა უნდა წყნარად და თუ ფუტკარი დაგაჯდათ სადმე, ძალით არ უნდა მოიშოროთ იგი, თითონ გაფრინდება და არც გიკბენთ; 13) ფუტკრის საქმის ხეირიანად მოსაწყობად ჩვენში, საქიროა, რომ ყველა ანუ რამდენიმე მეფუტკრენი, ერთი თუ რამდენიმე სოფლისა, შეადგენდნენ დამხმარებელ ამხანაგობას ანუ წრეს, რადგან მთელი ამხანაგობისთვის მუდამ უფრო ადვილია საქმის წინ წაწევა და გაუმჯობესობა, ვიდრე ერთი კაცისთვის; მაგალითად: რამდენიმე კაცისთვის უფრო ადვილი იქნება გაუკეთესებული სკების გამოწერა საცდელად, თაფლის გამოსაწეელი იარაღის სყიდვა, გაზეთის, ჟურნალის, წიგნების და მისთანების შეძენა და სხვ. თქმა არ უნდა, რომ კარგი იქნება დეაარსოთ ამ გვარივე ამხანაგობანი მებაღეებისა, მებოსტნეებისა, მხენელ-მთესველთა, ღურგლებისა, კალატოზებისა და მისთანათა; 14) ფუტკრის საქმის წინ-წასაწევად კარგია აგრეთვე ფუტკრის გამოფენათა გამართვა სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებში.

II. დედა ფუტკარი.



ფუტკრების ოჯახს (გუნდს) შეადგენენ: დედა ფუტკარი, მუშა ფუტკარი და მამალი ფუტკარი. დედა ფუტკარი ითვლება მთელი ოჯახის დედოფლად და ამიტომ დიდ პატივში ჰყავთ ხოლმე ის ფუტკრებს. ეს პატივი იმაში მდგომარეობს, რომ სადღეო ფუტკარს მუშა ფუტკრები საუკეტესო საქმელს უზიდავენ, ბინას უსუფთავენ და ბეჯითად ჰყარაულობენ, რომ მტერ-

მა არაფერი ანოს. ამისთანა პატივისგან დედა-ფუტკარი მსხვილ-
დება, გრძელდება და მიწვილმეტე ღღეზე კიდევაც გამოდის
ბუდიდამ.

ფუტკრის სადგაო ბუდე აღვილი გასარჩევია: იგი მოგრძო
შებენდულობისაა, გეგონებათ ფურის ძუძუ ჰკიდია ფიტ¹⁾ჯდაო¹⁾.
ზოგიერთ ღონიერ სკაში ნახამთ რამდენიმე სადგაო ბუდეს;
მაგრამ, რადგანაც თითო სკაზე საკმაოა თითო ანუ ორ-ორი
სადგაო ბუდე ახალი ბლარტებისათვის, ამიტომ მეტი მათგანი
ბლარტობამდის მჭრე დანით უნდა ამოსჭრათ და გადაყარონ.
პირიქით, ზოგიერთ სკაში სრულებით არ მოიპოვება ხოლმე
სადგაო ბუდე; მაშინ რა თქმა უნდა, ფუტკარიც ვერ იბღარტებს,
სკილამ ვერ გამოვა ფუტკრის ახალი ოჯახი (გუნდი). ამ შემთ-
ხვევაში მეფუტკრემ უნდა უშველოს თავის ფუტკარს. თქვენ,
ვიცი, იკითხაეთ—როგორ უნდა უშველოთო და მეც მოგახსი-
ნებთ. აი როგორ: რომელ სკაშიაც ნახოთ მეტი სადგაო ბუდე,
აიღეთ მჭრელი დანა და ის მეტი ბუდეები სიფრთხილით ამოს-
ჭერით ისე, რომ ზედ პატარა ნაჭერი ფიტიც მოჰყვეს; ამ
გვარად ამოჭრილი ბუდე ხმელი ბალახის ანუ ხის წვრილი კა-
ვით მიაკართ იმ სკის ფიტს, რომელშიაც გინდათ გააჩინოთ
დედა-ფუტკარი. ამას ეძახიან დედას ბუდას მუნახას.

დედა-ფუტკარი ყოველთვის ბუდის ბოლოდამ (ქვემო ნა-
წილიდამ) გამოდის; ამიტომ, თუ დედა-ფუტკარი მართლა ბუ-
დის ბოლოდამ გამოსულა, იცოდეთ, რომ ის ბუდიდამ მშვი-
დობიანად გამოსულა და ფუტკრებსაც მიღებული ეყოლებათ:
ხოლო, როცა დედე-ფუტკარი ბუდის გვერდიდამ (сѣ боку)
გამოსულა (ამას ნახერეთით შეატყობთ), იცოდეთ, რომ დედა
მოკლულია ფუტკრებისგან.

¹⁾ ფიტი—პურია თაფლისა, რომელშიაც ფუტკრები თაფლს აგრო-
ვებენ.

ბუდიდგან ახლად გამოსული დედა-ფუტკარი განირჩევა სხვა ფუტკარებისაგან იმით, რომ მოგრძოა, მომსხვილოა და ზემოდგან ტანი მოკლე ბუსუსით აქვს შემოსილი, ბჭყინაგს და მოყვითანო ფერისაა. ბუდიდამ გამოსვლის ერთი კვირის შემდეგ, სადღეო ფუტკარი, კარგ მზიან დღეს, სკიდან გამოადის ჰაერზედ, ¹⁾ ძალიან მაღლა იწყობს ფრენას და ცდილობს შეხედეს მამალ ფუტკარს, ე. ი. დაიპელოს მისგან. თუ დაიპეპლა, ის ისევ თავის ბინაზედ ბრუნდება, და ამის მერე ნამდვილ დედად ითვლება. დაპეპლილი სადღეო ფუტკარი იმით ირჩევა, რომ მუცელი კვერცხით ევსება და ამიტომ უფრო მსხვილდება, მოგრძო ბუსუსით იმოსება და მოწითალო ფერს იღებს. ერთხელ დაპეპლილი დედა-ფუტკარი აღარ საჭიროებს შემდეგში დაპეპლვას და მთელს თავის სიცოცხლეში (ხუთ წლამდის) რჩება ნაყოფიერი.

თუ სკიდამ გამოსული ფუტკარი დაუპეპლაფი დარჩა, მაშინ ის ისევ თავის ბინაზედ ბრუნდება და მეორე ან მესამე დღეს კიდევ გადის ჰაერზე; ბევრჯერ მოხდება ხოლმე, რომ სადღეო ფუტკარი მაინც დაუპეპლაფი რჩება; მაშინ ის მხოლოდ მამალი ფუტკარების გამოსასვლელ კვერცხებსა სდებს.

დაპეპლილი დედა-ფუტკარი მესამე დღესვე იწყობს კვერცხების დებას. ამისათვის დედა-ფუტკარი დადის ფიტებზე და ყველა ბუდეს ცალკე სინჯავს, ე. ი. ჰყოფს შიგ თავსა და თუ მოეწონა სისუფთავით, მაშინ ჰყოფს შიგ ბოლოსა და თითო ბუდეში სდებს თითო კვერცხსა. კვერცხის დების დროს, დედა-ფუტკარი ღრო-გამოშვებით ისვენებს, მაგრამ დღეში ათას კვერცხს მაინც დასდებს ხოლმე და თუ მინდვრიდგან ბევრი საზრდო მოაქვთ მუშა-ფუტკარებს, ან თუ კარგი დარებია, მაშინ ორი ათას კვერცხსაც დასდებს ხოლმე დღეში.

¹⁾ ამ დროს სკას თავისი ალაგი არას დროს არ უნდა შეუცვალოთ.

ყველა დედა-ფუტკარი ერთი ღირსებისა არ არის: მათშიაც ზოგი კარგია და ზოგი ცუდი. რით გავარჩიოთ კარგი დედა ცუდი დედისაგან? აი რით: გააღეთ სკა და უყურეთ ფიტებს: თუ ყველა ბუდე თანაბარად (სწორეთ) არის ბარტყით საესე, მაშინ იცოდეთ, რომ დედა კარგი ყოფილა; და თუ ბარტყი ბუდეში თანაბარად არ არის და ზოგი ბუდე საესეა და ზოგი ცარიელი, მაშინ იცოდეთ, რომ დედა ცუდი ყოფილა.¹⁾

მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ახალი დედა პირველად არეულ-დარეულად სდებს კვერცხებს, მაგრამ თან-და-თან სწავლობს და რიგზედ იწყობს კვერცხების დებას; ამიტომ პირველ ხანებში ძნელია ითქვას ფუტკარზედ—კარგი დედაა ის, თუ ცუდი; ხოლო, რამდენიმე ხნის შემდეგ-კი ადელი გამოსაცნობია.

როგორცა ვსთქვით, დედა-ფუტკარი იწყობს კვერცხების დებას დაპებელის შემდეგ მესამე დღეზე; ამ კვერცხებიდამ ორი დღის შემდეგ, იჩეკება ბლარტი; ბლარტებს მუშა ფუტკარები აჭმევენ მოთეთრო სითხეს, რომელსაც პირიდან უშვებენ; ხოლო, როცა მოიზრდებიან, თაფლს და მტვერსაც აჭმევენ. ეს ბლარტი თავის ბუდეში $5\frac{1}{2}$ დღე იზრდება; შემდეგ ამისა მუშა ფუტკარები გადულებენ მათ ბუდეებს თავებს (დაჭებუდვენ) და იმყოფებიან ბლარტები შიგ $8\frac{1}{2}$ დღეს; ამის შემდეგ-კი ბუდიდგან გამოდის ცოცხალი და სრული სადედო ფუტკარი.

მაგრამ ბუდიდგან დედის გამოსვლა ამინდზედ არის დამოკიდებული: თუ კარგი თბილი ამინდი დაუდგა, დედა-ბლარტი შეთექვამეტე დღეზე გამოდის, კვერცხის დადების დღიდგან, თუ ცუდი ამინდი დაუდგა, შეთერამეტე ანუ მეცხრამეტე დღეზე გამოდის ხოლმე. ყველა დედა-ფუტკარს შეუძლიან ორ-ნაირი კვერცხის დადება: დედა ფუტკარისა და მამალი ფუტკარისა. ამიტომ, მუშა

¹⁾ ამისთანა ცუდი დედა გაზაფხულობით უჭკველად უნდა გამოიცვალოს, თორემ სკაში მყოფი ფუტკარი ძალიან დაზიანდება.

ფუტკრებიც ორ-ნაირ ბუდეებს უმზადებენ დედას: სადღეოდ ბუდეებზე ჩვენ ზემოთა ვსთქვით; რაც შეეხება დანარჩენ ორ ბუდეს, უნდა ვსთქვათ, რომ დედალი ფუტკრის, ¹⁾ ე. ი. მუშა ფუტკრების ბუდეები წერილია, ვიწროა და ზემოდგან სწორეთ არის გადაღესილები; ხოლო, მამალი ფუტკრის ბუდეები უფრო მოზრდილია, განიერი და თავებ გამობერილები. აქედგან სჩანს, რომ პატარა ბუდეებიდგან დედალი (ე. ი. მუშა) ფუტკარი გამოდის და მოზრდილი ბუდეებიდგან—მამალი ფუტკარი.

ყველა დედა-ფუტკარი ცოცხლობს სამი წლიდგან ხუთ წლამდე, მაგრამ სამ წელიწადს შემდეგ, დედა-ფუტკარი ბერდება და ამიტომ იგი უნდა მოკლად და მის მაგიერ სხვა ახალგაზდა დედა მისცეთ ფუტკრების ოჯახს, თორემ, ბებერი დედა კვერცხებს მცირედა სდებს და ამიტომ ოჯახი მალე ისე შეცოტავდება, რომ სრულიად მოისპობა.

დედა-ფუტკარი კვერცხის დებას ადრე გაზაფხულზე იწყობს ხოლმე. პირველად სდებს მხოლოდ მუშა ფუტკრის კვერცხებს და ზაფხულიდამ-კი, როცა ოჯახი გაძლიერდება, მამალი ფუტკრის კვერცხებსაც სდებს. პირველ დღეებში ძალიან ცოტასა სდებს, ხოლო მერე თან-და-თან უმატებს; მაგრამ კვერცხის დებას მაშინ უფრო უხშირებს, როდესაც სკაში სამყოფი ფუტკარი არის, მინდორშიაც სამყოფი მოსავეალია და ფუტკარი თბილად არის. ხოლო, თუ სკაში ფუტკარი საკმაოდ არ არის, ან მინდორში მოსავეალი არ არის ყვავილებისა და ან ცივა, მაშინ დედა-ფუტკარი ძალიან ცოტა კვერცხსა სდებს. კვერცხის დება ნახევარ მარიაშობისთვემდის გასტანს ხოლმე. მაგრამ რიგიანად კვერ-

¹⁾ უნდა იცოდეთ, რომ ყველა მუშა ფუტკარი დედალია, მაგრამ არას დროს არ შეუერთდებიან ხოლმე მამალ ფუტკრებს; მუშა ფუტკარი მარტო მაშინა სდებს კვერცხს, როცა რაიმე მიზეზით დიდ-ხანს რჩება უდელოდ; როცა-კი დედა ჰყავთ, მუშა ფუტკრები კვერცხს თავის დღეში არა სდებენ.

ცხის ღება მკათათვის დამღევემდის არის ხოლმე, რადგანაც ამის შემდეგ ფუტკარს მინდორში საზრდო უცოტავდება.

III. მუშა ფუტკარი.



მუშა ფუტ.

ზემოთა ვსთქვით შენიშენაში, რომ ყველა მუშა ფუტკარი ღებალია და კვერცხიც შეუძლიანთ დასდონ როცა ღება არა ჰყავთ. მუშა ფუტკრებისგან დადებული კვერცხები იმით გაირჩევა ღება-ფუტკრისგან დადებული კვერცხებიდამ, რომ მუშა ფუტკარი სდებს კვერცხებს არეულად, ისე, რომ შუაში რამდენიმე ბუდეს უშვებს ხოლმე ცარიელს, ან კიდევ თითო ბუდეში რამდენიმე კვერცხსა სდებს; ამისთანა კვერცხის მღები მუშა ფუტკარი უნდა მოჰკლათ ხოლმე.

მუშა ფუტკარი ტანით გაცილებით პატარა არის ღება ფუტკარზედ და მაჰალ ფუტკარზედაც. მუშა ფუტკარს აქვს ის თვისება, რომ როცა გაჯაერდება, კაცს, თუ ვინც არის, დანეშტრავს (უკბენს) ხოლმე, თუმცა ამის შემდეგ ეს ფუტკარი მაშინვე კედება. ღება-ფუტკარმა და მამალმა ფუტკარმა-კი კბენა სრულიად არ იციან.

მუშა ფუტკარი მეტად გამრჯე მწერია, ყველანი ღებას ემორჩილებიან და ერთგულათაც მუშაობენ. თუ მათში როგორმე ზარმაცი ფუტკარი გამოჩნდა, იმას მაშინვე მოჰკლავენ და სკიდგან გარეთ გადმოაგდებენ.

ბუდიდგან ახლად გამოსულს ფუტკარს ერთ-ორ კვირამდის არ შეუძლიან ფრენა და საზრდოსთვის წასვლა, ამიტომ ისინი შინაურ საქმეს აკეთებენ, სახელდობრ: ბლარტს აჭმევენ, ფიტს აკეთებენ, თავის ოჯახს და სკას ყარაულობენ, ასუფთავენ, ყველა ნაპრალებს და ჭუჭრუტანებს ჰლეხავენ და სხვ.

ძველი ფუტკარი—კი საზრდოს მოსატანად დადის მინდორში, ტყეში და ბაღებში: ზოგს თაფლი მოაქვს, ზოგს წყალი, ზოგს ყვავილების მტვერი.

თაფლს ფუტკარი პატარა პარკუჭებით ეზიდება, რომელიც შიგ პირში აქვს. თაფლის მზიდველი ფუტკარი სხვა ფუტკარებისაგან იმით გაირჩევა, რომ ის სხვებზედ მომსხოა, მძიმედ დაფრინავს და როცა თითებს მოუჭირებთ, პირიდან თაფლის წვეთები გადმოსცივია. ფუტკარი თაფლს არა თუ მარტო ყვავილებიდან იღებს, არამედ ფოთლებიდანაც.

წყალს ფუტკარი პირით ეზიდება. დასარწმუნებლად ზაფხულში ფუტკარი ორ თით შუა დაიჭირებთ და მოუჭირებთ: მაშინვე პირიდან წყლის წვეთები გადმოსცივია, რომელსაც სრულებით სიტკბო არა აქვს. წყლის მზიდველი ფუტკარი თაფლის მზიდველ ფუტკარზედ უფრო მსხვილია და მძიმე. წყალი საჭიროა ბლარტებისათვის სასმელად. ამიტომ, მატლი რომ გამოვა, მფუტკარემ წყალი არ უნდა მოაკლოს თავის ფუტკარს, ე. ი. თუ ახლო-მანლო წყალი არსად მოიპოვება, საფუტკარეში მუდამ უნდა გედგესთ წმინდა წყალი გეჯით ანუ სხვა რითიმე.

წყბოს—ფუტკარი იღებს ხეხილების კვირტებიდან; მას ფუტკარი ხმარობს სკის ნაჩრეტებისა და ნაპრალეების ამოსალესად.



მუშა ფუტკარი ყვავილის მტვრით უკანა ფეხებზე.

ყვავილების მტკვრს ფუტკარი ეზიდება ფეხებით; მინდვრიდან მოსული ფუტკარი რომ ნახოთ, ფეხებზედ ქინძის თავის

ტოლა რგვალი სორსლები აკრავს, რომელშიაც ცოტა თაფლს ურევს და ბუდეებში აწყობს.

ახლა საჭირო არის გავიგოთ საიდგან იღებს ფუტკარი სანთელს? სანთელს ფუტკარი არ საიდგან არ ეზიდება; სანთელი ფუტკარს ტანიდამ გამოხდის, მუცლის მხარიდამ. რამდენათაც მინდორში მომეტებული საზრდო აქვს ფუტკარს, იმდენად სანთელიც მეტი გამოხდის ტანიდამ. გამოკვლეულია, რომ 8 გირვანქა თაფლიდამ რჩება ერთი გირვანქა სანთელი; მაშასადამე, მეფუტკრე უნდა გაუფრთხილდეს ფიტის ყველა ნაჭერს, რომ წარამარად არ გააფუქოს, არ გააღნოს და თაფლი ისე გამოიღოს ფიტიდამ, რომ თვითონ ფიტი არ გაფუქდეს, ისევე მთელი დარჩეს. ამისათვის ერთგვარი მანქანაც-კია გამოგონილი, რომელსაც თაფლის გამოსაწოვი ჰქვია (Центробъжка).

ფიტების აშენებას ფუტკარი იწყობს ზემოდგან (თავიდგან). აი როგორ აშენებს ის ფიტებს: ფუტკარი უკანა ფეხებით იღებს მუცლიდამ სანთლის პატარა ნაწილებს, იღებს პირში და აკრავს ფიტს საცა უნდა. ფიტებს აშენებენ რიგზედ, რომელსაც ერთნაირ სიშორეზედ აწყობენ, ისე რომ ფუტკარს ადვილად შეუძლიან მათ შუა გავლა. ბუდეები (ნახერეტები) ფიტს ორივე გვერდიდამ აქვს. ზოგჯერ ახალი ფუტკარი წარამარად იწყობს ხოლმე ფიტების აშენებას; ამიტომ, სანამ ფუტკარს ახალს სკაში გადიყვანთ, ამ სკას შიგნიდგან ზემო მხარეს უნდა სიგრძეზედ თხლად დაჭრილი და ცოტათი შემთბარი ცარიელი ფიტები მიაკრათ, რომ ფუტკარმაც ამ მზად ფიტებზე დაიწყოს მუშაობა, ე. ი. ფიტების დასრულება და თაფლის ჩასხმა.

ყველა მუშა ფუტკარი მესამე დღეზე გამოდის ბუდიდამ. აი ამათი გამოხდელა როგორა ხდება: დედა რომ კვერცხს დასდებს, მესამე დღეს კვერცხიდგან მატლი იჩეკება; ეს მატლი ექვსი დღე იზრდება; ექვსი დღის შემდეგ ფუტკარი ბუდეს უბეჭდავს და მატლი ასე დაბეჭდილი რჩება თავის ბუდეში თერთ-

მეტი დღე; თერთმეტი დღის შემდეგ ბუდიდგან გამოდის სრული ფუტკარი. ახლად გამოსული ფუტკარი ძველი ფუტკარისაგან იმით გაიარჩევა, რომ ახალი ფუტკარი თითქმის მოთეთრო და მოგრძო ბუსუსით არის შემოსილილი: ძველ ფუტკარს-კი მომეტებული ფრენისაგან და შრომისაგან, ბუსუსი ეკარგება და უბუსუსობის-გამო მოშავო ფერს იღებს.

ზოგს ჰგონია, რომ ამისთანა შავი ფუტკრები სულ ქურდები არიანო, მაგრამ ეს ჯერ დამტკიცებული არ არის, თუმცა ეჭვი არ არის, რომ ქურდობაში ძველი ფუტკრები უფრო გამოცდილები არიან, ვიდრე ახალი ფუტკრები.

ყველა მუშა ფუტკარს შეუძლიან იცოცხლოს ხუთ წლამდის, მაგრამ ორ ან სამ თვეზე მეტი სიცოცხლე არა აქვსთ ხოლმე, რადგანაც საზრდოს ძებნაში¹⁾ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ბევრი იხოცება. პროფესორი ბუტლეროვი ამტკიცებს, რომ გაზაფხულის ფუტკარი არც ერთი აღარა რჩება შემოდგომამდისაო; საზამთროდ რჩება ის ფუტკარიო, რომელიც ზაფხულის დამლეფს იჩეკებაო.

IV. მამალი ფუტკარი ანუ რანგარი.



მამალი ფუტკარი მხოლოდ დედა-ფუტკრის დასაპეპლავად არის საჭირო. ამიტომ, რაკი დედა-ფუტკარი დაიპეპლება, მუშა ფუტკრები შეუდგებიან ხოლმე მამალი ფუტკრების დაზოცვას, რომ ტყუილად მამალი ფუტკარი არა ჭამონ მათ. ეს კარგად უნდა იცოდეს მეფუტკრემაც და უშეგლოს მუშა ფუტკრებს მამალი

¹⁾ ყველა მუშა ფუტკარს შეუძლიან სამი ვერსის სიშორეზედ წავიდეს საზრდოსთვის.

ფუტკრების ხოცვაში. ამისათვის საუკეთესო დრო არის შუა-დღის შემდეგ, რადგანაც ამ დროს მამალი ფუტკრები სკის კარების ზემოთ გროვდებიან ხოლმე, როდესაც მამალი ფუტკარი ბლომად მოგროვდება სკაზედ, მაშინ აიღეთ ჩვარი ანუ ქილობის ნაჭერი და ზედ სკაზედვე ერთიანად გასრისეთ. მამალი ფუტკრების დახოცვა და შემცირობა ასეც შეიძლება: 1) შემოდგომაზედ, თაფლის ამოღების დროს, ამოსჭერით დანით ის ფიტები, რომლებშიაც იმყოფება მამალი ფუტკრების ბუდეები (რომლების ნიშნები ჩვენ ზემოთ ავწერეთ) მატლით და 2) ზემო ბუდეებშიაც (საკუჭნაოში), სადაც დედა-ფუტკარი სდებს კვერცხებსა, უნდა ამოსჭრათ ხოლმე მამალი ფუტკრის ბუდეებიანი ფიტები და მათ მაგიერ შეუდგათ მუშა ფუტკრის ფიტები, რომელშიაც დედა-ფუტკარი დაიწყებს მუშა ფუტკრის კვერცხების დებას. მარტო ამისთანა ღონის-ძიებით შეიძლება მამალი ფუტკრის შემცირობა. კარგად მყოფ ფუტკრის სკაში ზამთარში ერთი მამალი ფუტკარიც არ უნდა მოიპოვებოდეს. ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ ჩვეულებრივი მამალი ფუტკრის მაგიერ, გამოდის მუშა ფუტკრის ტოლა მამალი ფუტკრები; ეს იმას ნიშნავს, რომ დედა-ფუტკარს მამალი ფუტკრის კვერცხები დაუდვია მუშა ფუტკრის ბუდეებში.

V. წლის ოთხი დრონი ფუტკრის სხივ-რებაში.

გაზსაკსული.

დადგება თუ არა გაზაფხული, ფუტკარიც გამხიარულდება ხოლმე, რადგანაც მინდერებშიაც ათას ფრად ყვავის მცენარეები. ამავე დროს (დაახლოებით როცა წნორი ანუ ტირიფი იწყებს

აყვავებას), ვისაც საზამთროდ სკები შენახული ჰქონდა სარდაფში ანუ სხვა შენობაში, უნდა გამოალაგოს და დადგას გარეთ საფუტკრეში, როგორც ნათქვამი იყო ზემოდ. როცა სკებს დასდგამთ თავ-თავის ადგილას და ფუტკარიც დამშვიდდება, მაშინ მეფუტკრემ უნდა შემოუაროს ყველა სკას, კარგად დაათვალიეროს და სადაც მეტი ჭუჭრუტანები აღმოჩნდეს, ყველა გამოაღვინოს, როგორც ზემოდ ეწერა. ხოლო, როცა¹ საკმაოდ ათბება, ე. ი. 10⁰ სითბო მაინც იქნება კარში, უნდა ყველა სკა სათითაოდ ახალოთ და კარგად გასინჯოთ-გაწმინდოთ. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, ჰყავთ დედა თუ არა, აქეთ სკაში თაფლი თუ არა, სენი ხომ არა სჭირთ რამე და სხვ. სკების გამოლაგება საზამთრო შენობიდან უმჯობესია მოახდინოთ საღამომით, ისე-კი, რომ არც ერთი სკა არ დარჩეს გამოსატანი მეორე დღისათვის; სკების გამოტანის დროს ფუტკრის შესავალი კარი მაგრად უნდა დახშოთ ჩერით, რომ ფუტკარი წარამარად არ გამოვიდეს და არ დაიკარგოს; მეორე დღეს, დილით აღრიხანად-კი, გაუღეთ კარები, რომ ყველა ფუტკარს ერთ დროს შეეძლოს სკებიდან გამოსვლა-გათამაშება.

როცა ფუტკარი მთლად დაბინავით საფუტკრეში, დაუარეთ ყველა სკას სათითაოდ და ყური დაუგდეთ (ყურის სკაზე დადებით): თუ ფუტკარი ბზუვის თანაბრად და ფუტკრის შესავალ კარებიდამაც სასიამოვნო სუნი გამოდის, მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ ფუტკარი კარგ მდგომარეობაშია. ხოლო, როცა სკას დააკაკუნებთ ხელით ან პატარა ჯოხით და ფუტკარი დაიწყობს ერთბაშად განუწყვეტელ ბზუვილს, მაშინ დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, რომ სკაში ცოტა ფუტკარია, არა აქეთ თაფლი, ან კიდევ დედა არა ჰყავთ. ამას გარდა ფუტკრის შესავალში უსუნეთ სკას: თუ სკიდან მჟავე ან შმორის სუნი გამოდის, იცოდეთ, რომ სკაში შმორი ან სხვა ავადმყო-

ფობა გაჩენილა. ამისთანა სკას უნდა უშველოთ, თორემ ფუტკარი მალე გამოგეცლებათ ხელიდამ.

თუ სკიდან ბული (სიცხე, სითბო) გამოდის, მაშინ იცოდეთ, რომ სკაში ბერი ფუტკარია; ამ შემთხვევაში შესავალი კარები გაუფანიერეთ, ან საქარე (ჰაერის გასაწმენდი) გაუკეთეთ, რომ სკაში სუფთა ჰაერმა იმუშაოს. ამ ზემომოყვანილი ნიშნებით, ყველა მეფუტკრეს შეუძლიან აღვილად გაიგოს თავისი ფუტკრის გარემოება და განსაცდელსაც გადაარჩინოს.

ფუტკრის სელოფენურად კამოკვება.

გაზაფხულის დამდეგ ფუტკარს სკაში ბევრჯელ გამოვლევა ხოლმე თაფლი; მაშინ მეფუტკრემ უნდა ეცადოს, რომ ფუტკარი სიკვდილს გადაარჩინოს. ეს ასე შეიძლება: ღამ-ღამობით შეუდგით იმდენი თაფლი, რომ დილისთვის სკაში თაფლი აღარ დარჩეს, და თუ დარჩა რამე, ისიც აღრიანად უნდა გამოიღოთ, რომ სხვა ფუტკარმა არ შეამჩნიოს, თორემ მას სხვა სკების ფუტკარი დაეხვევა და მთელ სკას გააანადგურებენ და საფუტკრეშიაც ქურდობა გაჩნდება. რაკი საფუტკრეში ქურდობა გავრცელდება, მაშინ ძნელი-ლა იქნება ფუტკრის დადარჩენა.

ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ ფუტკარი საქმელს საჭიროებს, მაგრამ მეფუტკრეს თაფლი არა აქვს; ამ შემთხვევაში მეფუტკრემ უნდა აჭამოს ფუტკარს: ან წყალში სქლად გახსნილი შაქარი (სიროფი), ან გათქეფილი კვერცხი, ან ფურის რძე და ან სვილას ფქვილი (ржаную муку).

კვერცხის ჭმევა უნდა ასე: აიღეთ ათი კვერცხის ცილა და გული და კარგად გათქეფეთ ჯამში; შემდეგ გაურიეთ შიგ ორი გირვანქა თაფლი ანუ შაქარი და ნახევარი გირვანქა წყალი (ერთი ჩაის სტაქანია); ხელ-მეორედ კარგად გათქეფეთ და ისე დაუდგით ფუტკარს სკაში ¹⁾.

¹⁾ ორ სკას ამყოფინებენ ერთ კვერცხს.

როცა გნებავთ მისცეთ რძე, მაშინ აიღეთ ერთი გირვანქა შაქარი, ვახსენით ორ გირვანქა თბილ რძეში (ოთხ ჩაის სტაქანში), მიუმატეთ შიგ მეოთხედი მისხალი სალიცილის სიმკავე (აფთიაქში მოიკითხეთ), რომელიც ძალიან რგებს ფუტკარს და რძეც აღარ აიჭრება. თითო ჩაის სტაქანი ამისთანა საკმლისა ეყოფა თითო გეჯას.

თუ ფუტკარს დასჭირდა საერთო ქმევა, მაშინ ერთ-ერთ ზემოთ ნათქვამ საკმელს სდგამენ საფუტკრიდგან ასი საყენის სიშორეზედ, სადაც საერთოდ იკვებება ყველა ფუტკარი. მხოლოდ ამისთანა საერთო ქმევისათვის უნდა ამოირჩიოთ კარგი, მშერდობიანი და უქარო დღე. ამისთანა საერთო ქმევა რომ შიგ საფუტკრეში მოახდინოთ, როგორც ზოგიერთები შერებიან, მაშინ შეუძლებელია, რომ საფუტკრეში ქურდობა არ გაჩნდეს.

რამდენიც მოთბება და გამოზაფხულდება, იმდენი ფუტკარსაც საკვები ემატება მინდორში და ამიტომ აღარც საჭირო იქნება პატრონის ხელით ქმევა.

K26.373
3

ზაფხული.

დადგება თუ არა ზაფხული, ფუტკარიც ემზადება ბლარტობას და მართევს (შვილების) გამოშვებას სკიღამ. მართვის გამოხელის დრო დამოკიდებულია ადგილზედ და ჰავაზედ, მაგალითად: ციეს და ნოტიო ადგილებში ფუტკარი გვიან ბლარტობს, ესე თიბათეში და მკათათეში; ცხელ და მშრალ ადგილებში-კი ბლარტობს ადრე, აპრილის გასულს და მაისის დაშდგეს. თქმა არ უნდა, რომ მართვის გამოხელაზედ გავლენა აქვს აგრეთვე მცენარეების აყვავებას: ცხელ ადგილებში მცენარეები ადრე ყვავიან და ციე ადგილებში—გვიან; ამიტომ ცხელ

ადგილებში ფუტკარი აღრე იწყებს ბლარტობას და ცივ ადგილებში—გვიან.

რამდენიც ბლარტობის დრო მოახლოვდება, იმდენი ფუტკარიც მზიარულად არის, სკების გარეშემო თამაშობს, ხან სკაში შედის, ხან გამოდის, ერთი სიტყვით, მეფუტკრეს აგებინებს, აბა დღე-დღეზე გამოვალთო და ბინა მოგვიშაადეო: თუ მეფუტკრეს უნდა გაიგოს, როდის გამოვა იმისი ფუტკარი, გახსენით სკა და თუ ფუტკარი ფიტებს ქვევით არის შეჯგუფული, იცოდეთ, რომ ფუტკარი ორ ან სამ დღეზე გამოუშვებს ბლარტს.

ამასთანავე მეფუტკრეს შეუძლიან უდებოდ ფუტკარი იცნოს ამ ნიშნებით: აჰხადეთ სკა და დაუბოლკეთ ფუტკარს: ¹⁾ თუ ფუტკარს დედა ჰყავს, მაშინ ერთბაშათ იწყობს ბზუეილს და ისევე მალე დაჩუმდება; ხოლო, თუ ფუტკარს დედა არა ჰყავს, მაშინ დიდ ხანს ბზუეის და უნდა ან დედა მისცეთ, ან კიდევ თვითონ ფუტკარი ჩასხათ სხვა ფუტკართან.

ყოველთვის პირველი ბლარტი გამოდის ძველ დედასთან ერთად შუადღემდის, მეორე და მესამე ბლარტები—კი ყოველთვის ახალ დედასთან გამოდიან, შუადღის-შემდეგ, საათის ორზედ. მეოთხე ბლარტი ²⁾ ყოველთვის მეცხრე დღეს გამოდის პირველი ბლარტის გამოსვლის შემდეგ. მეფუტკრემ თუ შეატყუო, რომ გამოსული ბლარტი თან-და-თან მალლა ადის, მაშინვე შხაპუნით ან სხვა რითიმე წყალი უნდა შეასხას ფუტკარს, ან კიდევ მუჭით მიწა შეაყაროს; ამ ღონისძიებით ფუტკარი თან-და-თან დაბლა ჩამოდის და ერთ ადგილას გროვდება. ბლარტის ადგილად დაჭერი-

¹⁾ ე. ი. მოუკიდეთ ცეცხლი წივას ანუ დამპალ შეშას და ბოლი მიუშვით სკაში ფუტკარზე, ისეთი სიფრთხილით-კი და დრო გამოშვებით, რომ ფუტკარი არ დაახრჩოთ.

²⁾ ვისაც ჰსურს, რომ ღონიერი სკები ჰქონდეს, თავის დღეში ორზე მეტი მართვი არ უნდა გამოუშვას სკიდან. ეს, როგორც ზემოთაც ვსთქვით, იმით შეიძლება, რომ მეტი სადღეოდ ბუდეები ამოსჭრათ დანით.

სათვის ხმარობენ ერთნაირ ბალახს, რომელსაც ეძახიან ბარამ-
ბოს (маточникъ, турецкая мелисса) და რომელიც მუდამ
უნდა დასთესოთ ხოლმე საფუტკარის მანლობლად. ამ ბალახს
ბლარტის გამოსვლის დროს სრესვენ ხელში და ისე სდებენ
ფუტკარის დასაჭერ ყუთში. დედა-ფუტკარი და ბლარტი მაშინვე
მიეხვევა ამ ბალახს; როცა ბლარტი მთლად შექუჩდება და და-
შმეიდდება, მაშინ ბლარტი ყუთიდან სკაში ჩაბლერტეთ და და-
ხურეთ.

ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ ბლარტი ჩასხმის შემდეგ
ისევე უკან გამოდის, არა დგება სკაში. ეს მაშინ მოხდება ხო-
ლმე, როცა ფუტკარს დედა არა ჰყავს ან ერთის მაგიერად,
რამდენიმე დედა ჰყავს და ან კიდევ სკის უსუფთაობისაგან არა
დგება შიგა. ამიტომ, ბლარტის ჩასხმის დროს მეფუტკარემ სკა
კარგად უნდა დაათვალიეროს: ვინიცობაა, თუ ფუტკარს დედა
არა ჰყავს, მაშინვე უშოვოს, ან თუ ერთი დედის მაგიერად რა-
მდენიმე დედა ჰყავს, მათში, რომელიც კარგია და ჯან-სალი და-
სტოვოს და დანარჩენი-კი დახოცოს, ან კიდევ დაამწყვდიოს
სადმე, რომ თუ უდევო ფუტკარი გამოჩნდა, იმას მისცეს დამ-
წყვდეული დედა, რომელსაც, რასაკვირველია, ცალკე საჭმელი
უნდა მისცეთ, სანამ დამწყვდეულია.

ამასთანავე სკები რაც შეიძლება სუფთად უნდა შეინახოთ:
სკების სისუფთავით ბევრი შეემატება ფუტკარს. ამისთვის მე-
ფუტკარემ დრო-გამოშვებით უნდა ახადოს ხოლმე სკები, კარ-
გად დაათვალიეროს, აბლაბუდა და ნაგავი ყველა კარგად გა-
მოგავოს და სხე.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ახალი ბლარტის სკაში ჩას-
ხმის დროს, ფუტკარებს საუკეთესო დედაცა ჰყავთ, სუფთა სკა-
ცა აქვთ, მაგრამ ახალ სკას მაინც ვერ ითვისებენ, მალ-მალე
ირევიან, დედას არ ასვენებენ და ეს უკანასკნელიც იძულებუ-

ლი არის ხოლმე სკილამ გამოსელას. ამისთანა შემთხვევაში იხმარეთ შემდეგი სამი ღონისძიება:

1) როგორც ვსთქვით, შიგ სკაში დასრისეთ ბალახი ბარამბო;

2) ვახსენით წყალში შაქარი და ის შაქარ-წყალთ შეახსურეთ შიგ სკაში; ამის მაგიერად შეგიძლიანთ პიტნის წყალიც შეახსუროთ;

3) ჩასვით ფუტკრის დედა მართულის პატარა კოლოფში; კოლოფი ისეთი უნდა იყოს, რომ ფუტკრებს შეეძლოთ დედას თათლი ან სხვა საზრდო მიაწოდონ და ჰაერით სუნთქეც შეეძლოთ. ეს კოლოფი დედიანად დადგით სკაში, სადაც ბლარტი იმყოფება და ამყოფეთ ასე ორი ან სამი დღე. ამ ხანებში ფუტკარი მას ეალერსება, ემსახურება, აჭმევენ საქმელს და თანდათან ეტკობათ დედა. როცა მესამე დღეს გამოუშვებთ დედას კოლოფიდან, ის ადვილად კისრულობს ოჯახის საქმეს და ფუტკარიც ემორჩილება მას და იწყობენ ყველანი თავთავის საქმის კეთებას.

ეს ზემოთ-მოყვანილი ღონისძიებები მე თითონა მაქვს ნაცადი მუხრან-ბატონის საფუტკრეში, საცხენისის სამეურნეო სკოლაში და ყირიმში. სამივე ადგილას მე თითონ თავისუფლად ეაწარმოებდნენ საქმეს და ამიტომ სრულის რწმენით ურჩევ ამ საშუალებების ხმარებას ჩვენ მეფუტკრეებს.

შემოდგომა.

დადგება თუ არა შემოდგომა ფუტკარსაც საზრდო ელევ მინდორში; მაშინ ფუტკარი დაწრწის აქეთ-იქით და ცდილობს სსხვა სკებიდან გამორჩეს თათლს, იწყობს ქურდობას. ამიტომ აჭირო არის, რომ შემოდგომაზედ, თათლის ამოდების დროს,

მეფუტკრემ გასინჯოს ყველა სკები და თუ შეამჩნია სადმე უღონო ფუტკარი, სხვა ფუტკარს შეუკედლოს. თაფლის ამოღებაში ყველა მეფუტკრეს უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ საზამთროდ სამყოფი თაფლი დაუნარჩუნოს, ე. ი. ერთი წილი ამოაღოს და ორი წილი ფუტკარს დაუგდოს, რომ გაზაფხულზედ ფუტკარმა უსაზღორობისა-გამო ქურდობა არ დაიწყოს.

რამდენიც ფუტკარს ზამთარში მეტი თაფლი ექნება და თბილათაც იქნება, იმდენად ფუტკარიც კარგად იქნება და ზაფხულშიაც კარგად იბარტყებს; რამდენიც ცოტა თაფლი ექნება ფუტკარს და სიცივეში იქნება, იმდენად ფუტკარიც უფრო დასუსტდება და ბევრჯერ თავის უღონობის-გამო ზაფხულში ვეღარა ბლარტობს.

თაფლი უნდა ამოაღოთ ღვინობისთევეში. ამოღების დროს სკები არ უნდა მოთხუზნოთ და არც თაფლის წვეთები ან ფიტის ნამცეცები ჩამოცვივდეს, თორემ ზარმაცი ფუტკრები თაფლის სუნზედ საფუტკრეში სიარულს და წანწალს დაიწყებენ და ქურდობას გააჩაღებენ. რა წანსაც საფუტკრეში ქურდობა გაჩნდება, მეფუტკრემ უნდა იღონოს რამე, თორემ მთელი საფუტკრე მოკლე ხანში ხელიდგან წაუვა. აი რა ღონის-ძიება უნდა იხმაროთ ფუტკრის ქურდობის წინააღმდეგ:

ის სკა, რომელსაც ჰპარავენ თაფლს, გადაიტანეთ სხვა ადგილას, უმჯობესია ღამით და შეუვიწროვეთ შესასვლელ-გამოსასვლელი კარები ისე, რომ მარტო ერთ ფუტკარს შეეძლოს შესვლა; აგრეთვე კარგია ფუტკრის შესავალში მიაკრათ მუშტის ტოლა ტალახი და ამ ტალახში გაუკეთოთ მარჯო ერთი ფუტკრის შესავალი. ვინიცობაა თუ ზემოთ მოხსენებულმა ღონის-ძიებამ ვერა უშველა-რა, მაშინ ის სკა, რომელშიაც ბუდობს ქურდი ფუტკარი, უნდა გადაიტანოთ იმ სკის ადგილას, რომელსაც ჰპარავენ თაფლს და ეს უკანასკნელი უნდა გადაიტანოთ პირველი სკის ადგილას. მხოლოდ უნდა გახსოვ-

დეთ, რომ ამისთანა სკების გადატან-გადმოტანა მარტო მაშინ შეიძლება, როცა ორივე სკაში დედა იმყოფება; წინააღმდეგ შემთხვევაში სკების გადატან-გადმოტანა არ შეიძლება. თუ ამ ღონისძიებამაც ეერა უშველა-რა, მაშინ ქურდი ფუტკარი ბინდისას უნდა გადაიტანოთ სადმე სხვაგან, ორი-სამი ეერსის სიშორეზედ და ვისმე მიაბაროთ, რომ ქურდ ფუტკარს აღარ შეეძლოს ძველ ბინაზე მისვლა.

ზამთარი.

დადგება თუ არა ზამთარი, ფუტკარი მუშაობას თავს ანებებს, შაგრამ დარდი-კი ემატება, იმიტომ რომ ყველაზედ ცუდი ღრო ფუტკარისათვის ზამთარია, რადგანაც ზამთარში ფუტკარი ბევრ ტანჯვას გამოივლის ხოლმე. ზამთარში ფუტკარის გაჭირება იმაში მდგომარეობს, რომ ფუტკარი ეერ სარგებლობს სუფთა ჰაერით, გარეთ ეერ გამოდის ხოლმე, მოკლებულია სისუფთავეს და ზოგჯერ სციეა კიდევ და ან სცხელა. ამ გარემოებათა წყალობით ბევრი ფუტკარი იხოცება ხშირად. ამიტომ, ზამთრობით ფუტკარი რაც შეიძლება თბილად უნდა შეინახოთ; რამდენიც თბილად იქნება ფუტკარი, იმდენად ცოტა თაფლსა სჭამს, და რამდენიც სიცივეში იქნება, იმდენად მომეტებულს თაფლს შესჭამს. სადაც ფუტკარი გიდგათ ზამთარში, იქ 3—5⁰ მეტი სითბო არ უნდა იყოს რეოპურის სითბოს საზომით. სადაც ზამთარში ამაზე ქვევით არ იწვეს სითბო, იქ კარშიაც შეიძლება დასტოვოთ სკები.

ფუტკარი სიცივისაგან ისე ადვილად არ იხოცება, როგორც უსუფთაობისა და ცუდი ჰაერის-გამო. ამიტომ მეფუტკარემ ზამთრობით არ უნდა გაუშვას თავისი ფუტკარი ღეთის ინაბრობაზე, როგორც ეს ჩვენში იციან და ზოგჯერ მანც უნდა მიჰხედოს მათ.

VI ხელოვნურად ფუტკრის ბლარტობა და გამრავლება.

ფუტკრის გამრავლების საქმე პირ-და-პირ დამოკიდებულია პატრონზედ. პატრონის სურვილზედ არის დამოკიდებული მართვის გამოხსენა, უნდა გამოაყვანინებს ფუტკარს მართვს, უნდა არა. ესთქვათ ამაზედაც რამდენიმე სიტყვა.

ხელოვნურად ფუტკრის ბლარტობისათვის ხმარობენ მრავალ-გვარ ღონის-ძიებას, მაგალითად: 1) აიღეთ ფუტკრით საესე სკა (ღონიერ-ოჯახიანი), გადადგით განზე და იმის აღგილას დადგით სწორეთ იმისი მსგავსი ცარიელი სკა; ამ ცარიელს სკას მიაკარით წინ-და-წინვე იმ გადადგმული სკიდაშ ერთი ან ორი თაფლით საესე ფიტი, ერთი ან ორი ფიტიც მატლით (ჭიით) საესე, ნახევარი ფუტკარიც კოვზით ჩაყარეთ და დანარჩენი ფუტკარიც თითონ მიემატება თან-და-თან; შემდეგ, რაც ახალ სკაში აღგილი დარჩება, ისიც ცარიელი ფიტებით გაავსეთ; ეს უკანასკნელი იმიტომ უნდა, რომ მატლი არ გაცივდეს. ფუტკრის ამ გვარად გადაღებას უნდა ამოურჩიოთ კარგი მზიანი და მშვიდობიანი დღე, როცა მომეტებული ფუტკარი მინდორშია გასული საზრდოს მოსატანად.

ფუტკრის გადასხმის დროს ეცადეთ დაიჭიროთ დედა და ორიოდე დლით დაამწყვდიოთ შიგ სკაში (როგორც ზემოთა ესთქვით), რომ ფუტკარი მიეჩიოს. რით გავიგოთ, რომ ფუტკარმა დედა მიიღო? აი რით. თუ იმ კოლოფზედ, რომელშიაც დედა გყავთ დამწყვდეული, კოტა ფუტკარი ახვევია და ჭკვიანად სხედან, მაშინ იცოდეთ, რომ ფუტკრებს დედა მიუღიათ და თუ კოლოფს ბევრი ფუტკარი ახვევია და ცდილობენ დედას უკბინონ, ეს ნიშანია, რომ ფუტკრებს დედა არ მიუღიათ და

ჰსურთ მოკლან. ამ შემთხვევაში ახსურეთ სკას შაქარ-წყალი ანუ პიტნის წყალი, რომ მისმა სუნმა ფუტკრები დედასთან შეარიგოს. ამ საშუალებას ხმარობენ მაშინაც, როდესაც ერთი სკის ფუტკარს სხამთ მეორე სკის ფუტკართან; ამ წყლის შესხურების შემდეგ ფუტკრები მალე წყნარდებიან, ხოლო უიმისოდ-კი ერთმანეთს დასდევნ მოსაკლავად.

2) ფუტკრის გადასხმის დროს ერთი სკიღამ მეორეში, უნდა სახეში იქონიოთ შემდეგი: ა) რომ სკები იყვნენ ერთ-ნაირი შენედელოობისა და ფორმისა; ბ) ახლად გამოსული ფუტკარი მარად უნდა ჩაუსხათ ახლად გამოჩეკილსავე ფუტკარს და ძველი ფუტკარი—ძველს ფუტკარს; გ) ხელოვნური ბარტყობა შეიძლება მაშინ, როდესაც ფუტკარს სკაში საკმაო თაფლი აქვს, მაისის გასულს ან თიბათვის დამდეგს; დ) ერთი სკიღამ მეორეში ფუტკრის გადაყვანა შეიძლება მარტო საღამოობით, რადგანაც დღისით გადაყვანილი ფუტკარი ისევ ძველ ბინაზე ბრუნდება; ე) ღონიერი სკის (ფუტკრით) უღონო სკის ადგილას გადატანით და დადგმით, ჩვენ შეგვიძლიან ღონიერი სკა შევასუსტოთ და უღონო—გავაღონიეროთ; აგრეთვე უღონო სკის დადგმით ღონიერი სკის ადგილას, ჩვენ შეგვიძლიან უღონო სკა გავაღონიეროთ და ღონიერი შევასუსტოთ. ერთი სიტყვით, ფუტკრის გამრავლების საქმე ყოველად დამოკიდებულია თვით პატრონზედ და მის ცოდნა-გამოცდილებაზედ.

აქ უნდა დაეუმატოთ, რომ ვისაც და როდესაც სურს, რომ ფუტკარი გამრავლოს, უნდა ზემოდ-მოყვანილი საშუალებანი იხმაროს, ხოლო, როცა უფრო თაფლი სურს მიიღოს, იმან თავის ფუტკარს ბლარტი არ უნდა გამოაშვებინოს, სადღეოდ ბუდეების დანით ამოჭრით.

ყველა მეფუტკრემ უნდა სახეში იქონიოს ის გარემოებაც, რომ სკაში ძველი შავი ფიტები არ გაუშვას, რომელშიაც ფუტკარი მეტად უხალისოთ მუშაობს; გარდა ამისა შავ ფიტებში

მალე ჩნდება სხვა-და-სხვა ავადმყოფობა; ამისათვის, როცა შეატყობთ, რომ ფიტი მეტად გაშავებულია და დაძველებულია, მაშინ ის ფიტები ისე უნდა ამოსჭრათ დანით, რომ სკაზე დარჩეს ერთ-ორ ვერშოკზე ფიტის ძირი. ფიტების ამოჭრა უმჯობესია მოახდინოთ ხოლმე ზაფხულობით, რადგანაც ამ დროს მინდორში ბევრი საზრდო იშოვება და როცა ფუტკარი ნახავს, რომ მას ფიტები აკლია, ის მაშინვე დიდის ბეჯითობით ეკიდება საქმეს, ე. ი. ახალი ფიტების და თაფლის გაკეთებას.

ამოჭრილი ცარიელი ფიტები, მეფუტკრემ უნდა შეინახოს მშრალ ადგილას და გაუფრთხილდეს, რომ არ დაობდეს. როცა ბლომად მოგროვდება ფიტი, მაშინ დადგით ცეცხლზე დიდი ქვაბი, შიგ ერთი თუნგის ტოლა წმინდა წყალი ჩაასხით, რომ ქვაბს ძირი არ დაეწოს და ზედაც უთაფლო ფიტები ჩაყარეთ; როცა ფიტი გადნება, ჩაასხით ტილოს დიდ პარკში, მოაკარით პირს და საქაჯავში გაატარეთ, რომ სანთელი სულ გამოვიდეს, ხოლო, რაც პარკში ჭუჭყი დარჩება გადაყარეთ. შემდეგ ეს გაქაჯული სანთელი ჩაყარეთ სუფთა ქვაბში, ხელ-მეორედ გააღწეთ და ჩამოასხით, როგორც ყალიბშიაც გნებავდეთ. ერთი ფუთი ფიტიდამ გამოდის ნახევარი ფუთი სანთელი.

რაც შეეხება თაფლით საესე ფიტებს, იმას ჰყრიან თაფლის გამოსაწოვებელ მანქანაში (ЦЕНТРОБЪЖКА), ან აღნობენ ცეცხლზე, ან კიდევ პარკში სწურვენ ხელით და ჯობებით. თუ ცეცხლზე აღნობთ თაფლს, უნდა სიფრთხილით გააღწოთ, რომ ფიტი არ გადნეს და თაფლში არ აერიოს, თორემ თაფლსაც დაეკარგება ღირსება და სანთელსაც.

ბევრჯერ მოხდება ხოლმე, რომ მეფუტკრეები ფუტკრისათვის ბაზარში ყიდულობენ თაფლს; ამ შემთხვევაში მეფუტკრემ უქვეყლად უნდა იყიდოს ფუტკრისაგან დაბეჭდილი ფიტები, ე. ი. ბუდე-გაუტენავები; თუ ფუტკრებისაგან დაბეჭდილი ფიტები არ აღმოჩნდა, იცოდეთ, რომ ცარიელ ფიტებში ჩასხმულია ჩარჩებისგან

ფქვილ-გარეული თაფლი. ამისთვის ბაზარში ბაყლებსაგან თაფლის სყიდვას სიფრთხილვე უნდა და ცოდნა, რადგანაც უამისოდ ბაყლები ჰყიდიან შეზავებულ თაფლს, რომელსაც არც თაფლის გემო ექნება და არც სუნნი. თაფლი ისყიდება 5-8 მანეთად ფუთი, ხოლო სანთელი—12—18 მანეთად.

VII. ფუტკარის ავადმყოფობანი.

ფუტკარს ბევრ-ნაირი ავად-მყოფობა აქვს, მაგრამ მათში ყველაზედ მანებელი ავადმყოფობა არის ობი და მჭამეჯა. ობი მაშინ უჩნდება ფუტკარს, როდესაც მას ცუდ თაფლს აჭმევენ, ანუ როდესაც გაზაფხულობით ბლარტი მშვიერი რჩება, ან როდესაც გაცივდება და ან კიდევ, როცა სკა სუფთად არ ინახება. ობით ავადმყოფ ფუტკარს შეატყობთ ამ ნიშნებით: 1) როცა ფუტკრით საესე სკას გახსნით, უყურეთ მატლის ბუდეებს; თუ ბუდის თავები ჩაზნექილია, იცოდეთ, რომ მატლი ბუდეში მკვდარია ამ სენისაგან; 2) ნახეთ დანით რამდენიმე ბუდე; თუ მატლის მაგიერათ შიგ ლორწო დგას, იცოდეთ, რომ თქვენ ფუტკარს ობი სჭირებია; 3) თუ ბუდეები რიგზედ არის დაბეჭდილი, იცოდეთ, რომ ეს სენი არ სჭირებია ფუტკარს, ხოლო თუ ბუდეები რიგზედ არ არის დაბეჭდილები და შორი-შორს არიან ერთმანეთზე, მაშინ იცოდეთ, რომ ფუტკარი ობით არის ავად; 4) ობით ავადმყოფი ფუტკარი იმითაც ირჩევა, რომ ფუტკარი ძალიან ცოტა მიდის მინდორში საზრდოს მოსატანათ და ძალიან სუსტათაც მუშაობს, ე. ი. ავადმყოფი სკიდგან ხოლო თითო ოროლა ფუტკარი გამოდის დრო გამოშვებით.

რა წამსაც საფუთკრეში ობი გაჩნდება, უნდა მაშინვე რამე იღონოთ, თორემ მოკლე ხანში ფუტკარი სულ დაგვლუპებათ. ამ სენის მოსასპობლად ხმარობენ ბევრ-გვარ ღონისძიებას, მაგრამ ისე ვერაფერ არჩინდა ფუტკარს ამ სუნისაგან, როგორც

გამოჩენილი მეფუტრე შრეტერი, რომელმაც ობის მოსასპობელი წამალი იპოვა. აი როგორ არჩენს შრეტერი ობს: იმ ფიტებს, რომლებშიაც არის ავადმყოფი ბლარტი, სჭრის სულ ერთიან და სწევს ცეცხლში; შემდეგ იღებს ერთ საევე საქმლის კოვზს კარბოლის სიმყავეს (აფთიაქში მოიკითხეთ) და ერთ კოვზსაც კუპრს¹⁾, ერთმანერთში ურევს, მერე შიგ ამოაელებს ბამბაზიას (ნაქესია), მათუღით გადაკრულ პატარა ყუთში²⁾ სდებს და სკაში სდგამს. ამ გვარად მომზადებული წამალი ჰყოფნის ზაფხულის გასელამდის. მაგრამ თუ ხელ-მეორედ მოუუნდა წამლობა ფუტკარს, მაშინ ესევე წამალი უნდა გაუკეთოთ სამ თვეს უკან.

შრეტერი ამტკიცებს ამ წამლის უებრობას და კარგი იქნება, რომ ჩვენმა მეფუტკრეებმაც გამოცადონ იგი. კარგია აგრეთვე თხილის ოღენა ქაფურის ჩადება სკაში; სამი დღე რომ იდოს, შემდეგ უნდა გამოიღოთ ხოლმე რამდენიმე დღით და ისევე ჩადოთ სამი დღით.

მჭამელა იმისთანა ჭიანჭველიც ჩნდება სკაში და დიდ ზარალს აძლევს, როგორც მეფუტკრეს, ისე ფუტკარს. მჭამელა ორ-ნაირია: ერთ ნაირი თუმცა ძალიან ბევრი ჩნდება სკებში, მაგრამ ბევრს ვერას აენებს; მეორე ჯურა-კი მოგრზო ტანისა და მოთეთრო ფერის მატლია და ბატის კალმის სიმსხო.

ეს მატლები ძალიან სჭამენ ფიტს; ამ მატლისაგან ნაჭამი ფიტები აღარ ვარგა არც სანთლის გასაკეთებლად და არც თაფლისა. ამ მატლის პეპელა მრეში-ნათელი ფერისაა, შიგ ფიტებში სდებს მოყუითალო კვერცხებს და ხან კიდევ სკის ძირში.

¹⁾ კუპრს იმიტომ ურევვენ, რომ კარბოლის სიმყავე მალე არ გაქრება, ძალა დიდ ხანს შეინახება.

²⁾ ყუთი იმიტომ არის გადაკრული, რომ ფუტკარს არ შეეძლოს ამ წამლის წუწვნა, სუნი-კი არ აენებს.

ამ კვირვებებიდან იჩეკებიან მატლები, დაწრწიან სკაში და ანა-
დგურებენ ფიტს. ამ სენის წამალი ის არის, რომ რა წამსაც
ეს მატლი გაჩნდება სკაში, უნდა მაშინვე ფუტკარი გამოიყვანოთ
იმ სკილამ და სხვა სუფთა სკაში ჩაისხას. ავადმყოფი ფიტები-კი
სულ ერთიანად უნდა დაიწვას და ის სკაც ერთ წლამდის არ
უნდა იხმაროთ.

ფუტკრის მტრები.

ფუტკარს ჰყავს ძალიან ბევრი მტერი, მაგრამ იმათში მო-
მეტებულად მავნებელნი არიან: თავგი, აბლაბუდა, ჭიანჭველა,
კრაზანა, კელა და ზოგიერთი ფრინველები. თავგის წინააღმდეგ
წამალი ის არის, რომ სკები კარგად უნდა გალესოთ ზემოდ-მოხსე-
ნებული ტალახით და ფუტკრის შესავალ-გამოსასვლელი კა-
რებიც შეაფიწროვოთ, რომ თავგს არ შეეძლოს სკაში შესვლა*.
დანარჩენების წამალი ის არის, რომ, რა წამსაც ნახოთ ისინი
საფუტკარეში, უნდა დაუზოგავათ დახოცოთ და თუ ფრინველია
მოჰკლათ და იქვე ახლო ჩამოჰკიდლოთ, რადგანაც ამის დამნა-
ხველი მტერი აღარ მოვა.

ს კ ე ბ ი

ფუტკრის გასამრავლებლად ხმარობენ ბევრ-გვარ სკებს.
ამათში უკეთესები არის: დალინოესკისა, ბერლგჰშისა, პროკო-
პოვიჩისა, დატესი, გროვენგორსტისა, ძერჯონისა, დადანისა და
სხვები. ყველა ეს სკები ერთი ღირსებისანი არ არიან, მაგრამ

* ჭიანჭველის წინააღმდეგი წამალი ის არის, რომ ჭიანჭველის
ბუდეში კირის მტვერი ჩაიყაროს და ზემოდგან წყალი დაესხას: ჭიანჭველა
დაიხოცება.

მათში უმჯობესნი არიან: დალინოესკისა, ბერლეგზისა, დადანისა
და პროკოფოვიჩისა.

თუმცა ეს სკები ძვირად ჯდება (თითო—ექვსილამ ათ მანეთამდის ღირს), მაინც ფუტკრის გასამრავლებლად მეტად სასარგებლონი არიან, რადგანაც მათში ფუტკარს ის ნაკლი არა აქვს, რაც სხვა გვარ სკებში. ვისაც იმათი შემოღების შეძლება არა აქვს, იმან ისევე ჩვენებურ სკებს უნდა მიმართოს და რამდენადაც შესაძლებელია ეცადოს მის გაუყეთესებას. უმათერესი პირობა-კი იმაშია, რომ სკა ადვილად იხდებოდეს და ამ დროს ფიტები არ ფუჭდებოდეს. ამისათვის არის კარგი ჩარჩოების ჩაწყობა სკაში. ვისაც ჯერ არ უნახავს ჩარჩოიანი სკები, იმან ისინი ან უნდა ნახოს სადმე და ან ერთი სკა მაინც შეიძინოს მსწავლული მეფუტკრისაგან. უნდა ესთქვათ, რომ ვისაც რიგიანად ესმის ფუტკრის ხელობა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი იაფ ფასიან მამა-პაპურს სკებშიაც კარგად გაამრავლებს ფუტკარს და კარგ სარგებლობასაც ნახავს, თუ საქმეს თავს დაუდებს. ამ სკებში უმჯობესია დაწოლილი სკა, რადგან, ჯერ ერთი, — რომ დაწოლილი სკა მოშორებით არის მიწიდვან და მამასადამე სინესტეც ვერ აენებს და მეორე — დაწოლილ სკას ქარი ისე ვერ აენებს, როგორც დგომელა სკას. ვინც პირველად ყიდულობს ფუტკარს მოსაშენებლად, უმჯობესია იყიდოს გაზაფხულზედ, მხოლოდ უნდა გასინჯოთ, რომ სკაში იყოს საკმაო ფუტკარი, დედა, თაფლი და არა ძველი ფიტები.

ვისაც ჰსურს დაწვრილებით შეიტყოს ყველაფერი, რაც-კი მეფუტკრეობას შეეხება, შეუძლიან მიჰმართოს საიმპერატორო თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებას ამ ადრესით: ВЪ С.-Петербургѣ, въ Императорское Вольно-экономическое Общество.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირულ
გამოცემათა ქართულს

„მწყემს“^{-ზე}

და

რუსულ «П А С Т Ы Р Ы»-ზე

ფასი ქურნალისა:

12 თვით „მწყემსი“	3 მ.	6 თვით „მწყემსი“	2 მ.
— „ ორივე გამოცემა	4 „	— „ ორივე გამოცემა	3 „
— „ რუსული „	3 მ.	— „ რუსული „	1 „

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ
მთელის წლით **ს ა მ მ ა ნ ე თ ა დ.**

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სა-
მღვდელო და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და
მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა,
კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააერცელოს ქარ-
თველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო
სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის კითხვათა შესახებ; 3) გააერცელოს საქართველოს სამღვ-
დელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიან-
ობრივი კეთილ-ზნეობის და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და
განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა
ზოგიერთი საეკვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ

საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსულ გამოცემისა შემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო „მწყემს“-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცნოვრებას.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ფეიქალაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ფეიქალაში**, აგრეთვე **ქუთაისში** ან **თბილისში** წერა—კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **გორში**—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერაძესთან; **სახხვრეში**—მ. ყარამან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. **ახალსენაკში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირიდონ ან. მატარაძესთან.

გარეშე მცნოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი **შოთა რუსთაველის მხატვრობა** უკვე დაურიგდათ ხელის მომწერთ და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

7/153

10-



1896 წლის «მწეამის»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ

მოზრდილი ფოტოგრაფიული მხატვრობა
საქართველოს მეფის წმ.

დავით აღმაშენებლისა

ღ

იმერეთის ეპისკოპოსის

გ ა ზ რ ი ე ლ ი ს ა

ეს მხატვრობანი ფულის შემოტანისათანავე გაეგზავნება
უველა ხელის მომწერთა.

